



შპს ბი ეს კონსალტინგი

**„საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

ფინანსური ანგარიშგება და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	I
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	2
მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
4. ძირითადი საშუალებები	9
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები	10
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	10
7. საგადასახადო აქტივი.....	10
8. ფული და ფულის ექვივალენტები	10
9. კაპიტალი	10
10. სტუდენტებისგან მიღებული ავანსი	10
11. მიღებული სესხები	11
12. შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	12
13. შრომის ანაზღაურება.....	12
14. საოპერაციო ხარჯები.....	12
15. მიღებული გრანტები	12
16. პირობითი ვალდებულებები	12
17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ მფლობელს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ (შემდგომში – „კომპანია“) (მსს ფასს-ის პირველადი დამწერგავი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო სანარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს სტანდარტების“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მეორე შენიშვნაში მოცემული მომზადების საფუძვლების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი სანარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

შპს „ბი ეს კონსალტინგი“ (რეგ #SARAS-F-586073)

ნუნუ ფაცაცია (SARAS-A-516755)

9 ნოემბერი 2020

თბილისი, საქართველო.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უკუღმევითობას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

შპს „ბი ეს კონსალტინგი“ (რეგ #SARAS-F-586073)

ნუნუ ფაცაცია (SARAS-A-516755)

9 ნოემბერი 2020

თბილისი, საქართველო.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	7,221,270	6,441,839	6,641,885
არამატერიალური აქტივები		14,942	17,578	12,062
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,236,212	6,459,417	6,653,947
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	125,309	109,541	115,174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	239,325	122,535	387,800
ფული და ფულის ექვივალენტები	7	392,958	561,607	628,761
სულ მიმდინარე აქტივები		757,592	793,683	1,131,735
სულ აქტივები		7,993,804	7,253,100	7,785,682
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	7,000	7,000	7,000
გაუნაწილებელი მოგება		6,163,244	6,116,154	5,947,067
სულ მფლობელთა კაპიტალი		6,170,244	6,123,154	5,954,067
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	937,082	46,737	700,769
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		937,082	46,737	700,769
მიმდინარე ვალდებულებები				
სტუდენტებისგან მიღებული ავანსები	9	556,381	579,970	586,125
საგადასახადო ვალდებულებები	10	54,975	48,530	71,665
მიღებული სესხები	11	252,647	414,688	389,401
კრედიტორული დავალიანება		22,475	40,021	83,655
სულ მიმდინარე ვალდებულებები		886,478	1,083,209	1,130,846
სულ ვალდებულებები		1,823,560	1,129,946	1,831,615
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,993,804	7,253,100	7,785,682

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 9 ნოემბერს.



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	12	3,233,053	3,084,552
სხვა შემოსავლები		99,178	82,587
სულ შემოსავლები		3,332,231	3,167,139
შრომის ანაზღაურება	13	(1,890,568)	(1,825,682)
საოპერაციო ხარჯები	14	(723,041)	(881,257)
მიღებული გრანტები	15	-	389,320
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(548,733)	(514,485)
საოპერაციო მოგება		169,889	335,035
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		44,252	(124,080)
ფინანსური ხარჯი	11	(45,284)	(52,629)
ფინანსური შემოსავალი	7	13,885	15,906
წმინდა ზარალი სავალუტო გადაფასებიდან		(11,813)	(5,145)
მოგება დაბეგვრამდე		170,929	169,087
მოგების გადასახადი		(18,576)	-
წმინდა მოგება		152,353	169,087
სულ სრული შემოსავალი		152,353	169,087

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 9 ნოემბერს.



მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
1 იანვარი 2018	8	7,000	5,947,067	5,954,067
მიმდინარე წლის მოგება		-	169,087	169,087
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	169,087	169,087
გადახდილი დივიდენდი		-	-	-
31 დეკემბერი 2018	8	7,000	6,116,154	6,123,154
მიმდინარე წლის მოგება		-	152,353	152,353
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	152,353	152,353
გადახდილი დივიდენდი		-	(105,263)	(105,263)
31 დეკემბერი 2019	8	7,000	6,163,244	6,170,244

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 9 ნოემბერს.



 სერგო ტეფნაძე

 რექტორი, პროფესორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		170,929	169,087
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	548,733	514,485
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	11	45,284	52,629
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	8	(13,885)	(15,906)
წმინდა ზარალი სავალუტო გადაფასებიდან		11,813	5,145
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		(44,252)	124,080
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	(119,207)	257,965
(ზრდა)/კლება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	5	(15,768)	5,633
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		6,022	(44,453)
(კლება) სტუდენტებისგან მიღებულ ავანსებში	9	(23,589)	(6,155)
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში	10	6,445	(23,135)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		572,525	1,039,375
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		13,885	15,906
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(44,764)	(50,935)
გადახდილი მოგების გადასახადი		(18,576)	-
სულ საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		523,070	1,004,346
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	4	(1,372,524)	(755,212)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა	4	91,249	311,178
სულ საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		(1,281,275)	(444,034)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
მიღებული/გადახდილი სესხები	11	679,011	(631,051)
გადახდილი დივიდენდი	8	(105,263)	-
სულ ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		573,748	(631,051)
ფული და ფულის ექვივალენტები			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		561,607	628,761
წმინდა კლება წლის განმავლობაში		(184,457)	(70,739)
წმინდა კურსთაშორისი სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		15,808	3,585
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		392,958	561,607

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 9 ნოემბერს.



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	7,221,270	6,441,839	6,641,885
არამატერიალური აქტივები		14,942	17,578	12,062
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,236,212	6,459,417	6,653,947
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	125,309	109,541	115,174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	239,325	122,535	387,800
ფული და ფულის ექვივალენტები	7	392,958	561,607	628,761
სულ მიმდინარე აქტივები		757,592	793,683	1,131,735
სულ აქტივები		7,993,804	7,253,100	7,785,682
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	7,000	7,000	7,000
გაუნაწილებელი მოგება		6,163,244	6,116,154	5,947,067
სულ მფლობელთა კაპიტალი		6,170,244	6,123,154	5,954,067
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	11	937,082	46,737	700,769
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		937,082	46,737	700,769
მიმდინარე ვალდებულებები				
სტუდენტებისგან მიღებული ავანსები	9	556,381	579,970	586,125
საგადასახადო ვალდებულებები	10	54,975	48,530	71,665
მიღებული სესხები	11	252,647	414,688	389,401
კრედიტორული დავალიანება		22,475	40,021	83,655
სულ მიმდინარე ვალდებულებები		886,478	1,083,209	1,130,846
სულ ვალდებულებები		1,823,560	1,129,946	1,831,615
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,993,804	7,253,100	7,785,682

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 9 ნოემბერს.

სერგო ტეფნაძე
 რექტორი, პროფესორი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან	12	3,233,053	3,084,552
სხვა შემოსავლები		99,178	82,587
სულ შემოსავლები		3,332,231	3,167,139
შრომის ანაზღაურება	13	(1,890,568)	(1,825,682)
საოპერაციო ხარჯები	14	(723,041)	(881,257)
მიღებული გრანტები	15	-	389,320
ცვეთა და ამორტიზაცია	4	(548,733)	(514,485)
საოპერაციო მოგება		169,889	335,035
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		44,252	(124,080)
ფინანსური ხარჯი	11	(45,284)	(52,629)
ფინანსური შემოსავალი	7	13,885	15,906
წმინდა ზარალი სავალუტო გადაფასებიდან		(11,813)	(5,145)
მოგება დაბეგვრამდე		170,929	169,087
მოგების გადასახადი		(18,576)	-
წმინდა მოგება		152,353	169,087
სულ სრული შემოსავალი		152,353	169,087

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 9 ნოემბერს.

სერგო ტეფნაძე
რექტორი, პროფესორი

მფლობელთა კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ მფლობელთა კაპიტალი
1 იანვარი 2018	8	7,000	5,947,067	5,954,067
მიმდინარე წლის მოგება		-	169,087	169,087
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	169,087	169,087
გადახდილი დივიდენდი		-	-	-
31 დეკემბერი 2018	8	7,000	6,116,154	6,123,154
მიმდინარე წლის მოგება		-	152,353	152,353
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	152,353	152,353
გადახდილი დივიდენდი		-	(105,263)	(105,263)
31 დეკემბერი 2019	8	7,000	6,163,244	6,170,244

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 9 ნოემბერს.

სერგო ტეფნაძე
რექტორი, პროფესორი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		170,929	169,087
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	4	548,733	514,485
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	11	45,284	52,629
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	8	(13,885)	(15,906)
წმინდა ზარალი სავალუტო გადაფასებიდან		11,813	5,145
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული (მოგება)/ზარალი		(44,252)	124,080
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:			
(ზრდა)/კლება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	6	(119,207)	257,965
(ზრდა)/კლება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	5	(15,768)	5,633
ზრდა/(კლება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		6,022	(44,453)
(კლება) სტუდენტებისგან მიღებულ ავანსებში	9	(23,589)	(6,155)
ზრდა/(კლება) საგადასახადო ვალდებულებებში	10	6,445	(23,135)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		572,525	1,039,375
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		13,885	15,906
გადახდილი საპროცენტო ხარჯი		(44,764)	(50,935)
გადახდილი მოგების გადასახადი		(18,576)	-
სულ საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		523,070	1,004,346
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	4	(1,372,524)	(755,212)
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვა	4	91,249	311,178
სულ საინვესტიციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		(1,281,275)	(444,034)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
მიღებული/გადახდილი სესხები	11	679,011	(631,051)
გადახდილი დივიდენდი	8	(105,263)	-
სულ ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		573,748	(631,051)
ფული და ფულის ექვივალენტები			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		561,607	628,761
წმინდა კლება წლის განმავლობაში		(184,457)	(70,739)
წმინდა კურსთაშორისი სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე		15,808	3,585
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		392,958	561,607

ფინანსური ანგარიშგება, მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 9 ნოემბერს.

სერგო ტეფნაძე
 რექტორი, პროფესორი

1. კორპორატიული ინფორმაცია

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2004 წლის 12 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 206155328.

ძირითადი საქმიანობა. კომპანია ჩართულია საგანმანათლებლო საქმიანობაში და წარმოადგენს ერთდერთ უნივერსიტეტს, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს საავიაციო განათლებას. კომპანიას აქვს, როგორც საბაკალავრო ასევე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, კომპანია თავის საგანმანათლებლო საქმიანობას წარმოათავს საფრენოსნო, საინჟინრო და ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური მიმართულებებით.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია ქეთევან წამებულის გამზირი №16.

კომპანიის მენილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, კომპანიის 100%-იან წილის მფლობელს წარმოადგენს სერგო ტეფნაძე

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ქართულ ლარში.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2018 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2018 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდებისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამოწვევების.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 წლის 31 დეკემბერს, 2018 წლის 31 დეკემბერს და 1 იანვარს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის
ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2019	2.8677	3.2095
31 დეკემბერი 2018	2.6766	3.0701
1 იანვარი 2018	2.5922	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ყველა თანხის შეგროვებას თანხის ანაზღაურების მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზებადი ღირებულებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუალო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
ავტო და სხვა ინვენტარი	5
მანქანა-დანადგარები და საოფისე ტექნიკა	5-20
სატრანსპორტო საშუალებები	7-20
ლიზინგით აღებული ქონება	10
სხვა ძირითადი საშუალებები	5-20

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საუნივერსიტეტო პროგრამები	10 წელი
სხვა	5-10 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღირიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემომწეულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე განეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

მიღებული გრანტები. გრანტებს, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად აღიარდება მას შემდეგ, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება.

ხარჯების აღიარება. მოგება—ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდი. დივიდენდი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. სტუდენტებისგან მიღებული დებიტორული დავალიანების გასაუფასურებლად კომპანია იყენებს ისტორიულ მონაცემებს და გაუფასურებლად აღიარებს ორ წლიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

• **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანები და დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	622,970	6,119,586	130,318	1,142,985	232,068	1,291,860	498,799	10,038,587
შეძენა	95,130	238,311	1,500	279,788	15,954	76,929	40,182	747,794
გასვლა	-	-	-	-	-	(517,869)	(8,000)	(525,869)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	718,101	6,357,897	131,818	1,422,774	248,022	850,921	530,981	10,260,513
შეძენა	-	32,429	-	9,068	39,970	1,263,058	27,999	1,372,524
გასვლა	-	-	-	(8,397)	(50,377)	(22,888)	(52,042)	(133,704)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	718,101	6,390,327	131,818	1,423,444	237,615	2,091,090	506,938	11,499,333
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	-	(2,257,963)	(1,321)	(241,629)	(174,903)	(372,719)	(348,166)	(3,396,702)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(311,136)	(13,143)	(71,565)	(20,014)	(55,721)	(42,597)	(514,175)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	88,483	3,720	92,203
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,569,099)	(14,464)	(313,194)	(194,917)	(339,957)	(387,043)	(3,818,674)
ცვეთა წლის მანძილზე	-	(331,490)	(13,182)	(89,935)	(18,233)	(72,381)	(31,497)	(556,718)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	5,895	49,896	17,038	24,499	97,328
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(2,900,589)	(27,646)	(397,234)	(163,254)	(395,300)	(394,041)	(4,278,063)
2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით	622,970	3,861,623	128,997	901,356	57,166	919,141	150,633	6,641,885
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	718,101	3,788,798	117,354	1,109,579	53,106	510,964	143,938	6,441,839
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	718,101	3,489,738	104,172	1,026,210	74,362	1,695,790	112,897	7,221,270

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებების ღირებულება შეადგენს 1,173,194 ლარს (2018: 1,119,097 ლარი; 2017: 249,044 ლარი).

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სათადარიგო ნაწილები	85,853	60,867	62,061
საწვავი	26,404	36,958	40,334
სხვა მარაგები	13,052	11,716	12,779
სულ	125,309	109,541	115,174

სათადარიგო ნაწილები მოიცავს სასწავლო თვითმფრინავების ექსპლუატაციისთვის საჭირო მარაგებს.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
მოთხოვნები სასწავლო პროგრამებიდან	209,710	113,702	367,437
მიღებული ავანსები	29,615	8,833	20,363
მოთხოვნები სტუდენტების მიმართ	369,585	369,585	369,585
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებამდე	608,910	492,120	757,385
მოთხოვნების ანარიცხი სტუდენტების მიმართ	(369,585)	(369,585)	(369,585)
გაუფასურების ანარიცხი	(369,585)	(369,585)	(369,585)
ნეტო სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	239,325	122,535	387,800

კომპანია გაუფასურების შესაფასებლად ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სტუდენტების მიერ დროებით შეჩერებული სტატუსი, აკადემიური წლის აღებას და ა.შ. შესაბამისად, მოთხოვნები რომლებიც ვადაგდაცილებულია 2 წლით და მეტი ვადით სრულად არის გაუფასურებული.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	270,939	375,287	268,987
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	122,019	186,320	359,774
სულ	392,958	561,607	628,761

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო ანგარიშზე განთავსებულ დეპოზიტზე დარიცხულმა საპროცენტო სარგებელმა შეადგინა 13,885 ლარი (2018: 15,906 ლარი)

8. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა განერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 7,000 ლარს (ერთეულ ლარში).

დივიდენდები

კომპანიის 100%-ნი წილის მფლობელი წევრებს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის წესს.

2019 წლის განმავლობაში გაცემულმა დივიდენდმა შეადგინა 105,263 ლარი (2018: 0 ლარი).

9. სტუდენტებისგან მიღებული ავანსი

სტუდენტებისგან მიღებული ავანსი წარმოადგენს, წინასწარ მიღებულ თანხას, რომლის შესაბამისი მომსახურება მიწოდებული იქნება მომდევნო წლის იანვრისა და თებერვლის თვეში (სასწავლო სემესტრის დასრულებამდე).

10. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შედსაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, კომპანიას საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილი აქვს ნეტო თანხით.

11. მიღებული სესხები

სესხის ნომერი	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	სესხის ვალუტა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	ნაშთი ლარში
პროკრედიტ ბანკი 1	27 დეკემბერი 2019	27 ივნისი 2024	4%	ყოველთვიური	ევრო	209,767	817,273	1,027,040
პროკრედიტ ბანკი 2	27 დეკემბერი 2019	27 დეკემბერი 2024	4%	ყოველთვიური	ევრო	40,666	119,809	160,475
მიღებული სესხები						250,433	937,082	1,187,515
გადასახდელი პროცენტი						2,214	-	2,214
სულ მიღებული სესხები						252,647	937,082	1,189,729

სესხის ნომერი	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	სესხის ვალუტა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	ნაშთი ლარში
პროკრედიტ ბანკი 3	14 ნოემბერი 2013	14 ივნისი 2019	6.5%	ყოველთვიური	დოლარი	304,626	-	304,626
პროკრედიტ ბანკი 4	2 აგვისტო 2017	3 თებერვალი 2020	6.5%	ყოველთვიური	დოლარი	108,368	46,736	155,104
მიღებული სესხები						412,994	46,736	459,730
გადასახდელი პროცენტი						1,695	-	1,695
სულ მიღებული სესხები						414,689	46,736	461,425

სესხის ნომერი	გაცემის თარიღი	დასრულების თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	პროცენტის გადახდის პერიოდულობა	სესხის ვალუტა	მოკლევადიანი ნაწილი	გრძელვადიანი ნაწილი	ნაშთი ლარში
პროკრედიტ ბანკი 3	14 ნოემბერი 2013	14 ივნისი 2019	6.5%	ყოველთვიური	დოლარი	306,264	550,970	857,234
პროკრედიტ ბანკი 4	2 აგვისტო 2017	3 თებერვალი 2020	6.5%	ყოველთვიური	დოლარი	83,137	149,799	232,936
მიღებული სესხები						389,401	700,769	1,090,170
გადასახდელი პროცენტი						-	-	-
სულ მიღებული სესხები						389,401	700,769	1,090,170

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროკრედიტ ბანკისგან მიღებულ სესხებზე წლის განმავლობაში დარიცხულმა საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 45,284 ლარი (2018: 52,629 ლარი)

12. შემოსავალი სასწავლო პროგრამებიდან

	2019	2018
შემოსავლები სტუდენტებიდან	2,947,744	2,798,799
შემოსავლები ტრენინგებიდან	278,258	277,416
სხვა შემოსავლები დაკავშირებული სასწავლო პროცესთან	7,051	8,337
სულ	3,233,053	3,084,552

13. შრომის ანაზღაურება

	2019	2018
საათობრივი ანაზღაურება	953,960	788,212
ფიქსირებული ხელფასი	936,608	1,037,470
სულ	1,890,568	1,825,682

14. საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
საწვავ-საპოხი მასალების ხარჯი	184,759	226,524
სხვა საგადასახადო ხარჯი	177,564	160,190
კომუნალური ხარჯი	72,921	57,551
წარმომადგენლობითი ხარჯი	60,531	52,805
ტრანსპორტის ხარჯი	41,717	12,484
დაზღვევის ხარჯი	32,710	28,045
პროფესიული მომსახურების ხარჯი	27,289	74,423
ბანკის საკომისიო	26,919	4,784
სამეურნეო ხარჯი	22,955	18,103
მივლინების ხარჯი	16,411	25,553
დავალიანების ჩამოწერა	13,093	47,309
დაცვის ხარჯი	-	29,661
სარეკლამო ხარჯი	-	16,416
რემონტის ხარჯი	6,813	46,268
სხვა ხარჯები	39,360	81,140
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	723,042	881,257

15. მიღებული გრანტები

მიღებული გრანტი წარმოადგენს ათასწლეულის გამოწვევის ფონდისგან - (Millennium Challenge Corporation – MCC) მიღებულ ფულად სახსრებს. კომპანასა და ფონდს შორის გაფორმებული გრანტის ხელშეკრულება ითვალისწინებდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების განვითარებას. პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტმა შეიმუშავა და დახვეწა სასწავლო პროგრამები. 2018 წლის განმავლობაში მიღებულმა გრანტმა შეადგინა 389,320 ლარი, რომელიც წარმოადგენდა ბოლო ტრანშებს, შესაბამისად პროექტი დასრულდა 2018 წელს.

16. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ გაკეთებულია არანაირი რეზერვი შესაძლო ჯარიმებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფისომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

17. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	274,442	240,576

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ. კორონავირუსის პანდემიამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოგისტიკური ჯაჭვების წარმოქმნასა და ამცირებს საგარეო და საშინაო მოთხოვნილებას. ამასთანავე იზრდება რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროინდელი საშინაო და გლობალური მოვლენები ვირუსის შედეგად არის გამოწვეული, კომპანიამ დროულად განიხილა და გადახედა ორგანიზაციის სამომავლო რისკებს. დღეისათვის, ამ კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი. შესაბამისად, ფინანსური და საოპერაციო საქმიანობა ერთეულის სამომავლო პერსპექტივაზე ამჟამად ვერ განისაზღვრება. კომპანიას არ შეუწყვეტია საქმიანობა 2020 წლის განმავლობაში და გადავიდა სწავლების ონლაინ რეჟიმზე, ამდენად მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებადობას საფრთხე არ ემუქრება. მენეჯმენტი გააგრძელებს პოტენციური ზემოქმედების მონიტორინგს და მიიღებს ყველა ზომას პანდემიის ეფექტების შესამსუბუქებლად.

2020 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა და განაწილებულმა დივიდენდმა შეადგინა 30,000 ლარი.